საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს,
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების
შემსრულებელს ბატონ თეიმურაზ მთივლიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი" ქ. ბათუმში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე აკვატორიაში გეგმავს, ღუზის ფორმის ხელოვნური კუნძულის მოწყობა. ხელოვნური კუნძული შედგება ორი ხელოვნური ნახევარკუნძულისა და ერთი ხელოვნური კუნძულისგან, სადაც მოეწყობა კომერციული, გასართობი, სპორტული, საგანმანათლებლო, რეკრეაციული, საცხოვრებელი და ტურისტული ინფრასტრუქტურა. ხელოვნური კუნძულის პროექტის განხორციელება იგეგმება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (საზღვაო აკვატორიაში), საკადასტრო კოდებით: 05.30.38.035 (ფართობი 891258 მ²) და 05.30.38.036 (ფართობი 551965 მ²). დღეისათვის აქტიურ ფაზაშია ხელოვნური კუნძულის საპროექტო სამუშაოები და პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში დაგეგმილი კვლევები.

გამომდინარე იქედან, რომ საპროექტო აკვატორიის მიმდებარე ტერიტორია გამოირჩევა მაღალი ურბანული დატვირთვით და ხელოვნური კუნძულის მოსაწყობად სამშენებლო ინფრასტრუქტურის განთავსებისათვის საჭირო თავისუფალი ტერიტორია პრაქტიკულად არ არსებობს, მიღებული იქნა გადაწყვეტილება მდ. ბარცხანასა და მდ. კუბასწყალის შესართავებს შორის მოეწყოს დროებითი ნახევარკუნძული, რომელიც გამოყენებული იქნება სამშენებლო ბანაკის, სამშენებლო მასალების დასაწყობების მოედნების, სამშენებლო მასალები მწარმოებელი საამქროების განთავსებისათვის.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-2 დანართის მე-9 მუხლის, მე-13 ნაწილის შესაბამისად დროებითი ნახევარკუნძულის მოწყობის მიზნით დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- ქ. ბათუმში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე აკვატორიაში ხელოვნური ნახევარკუნძულის მოწყობის პროექტის სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები (shp ფაილების სახით) CD დისკზე,
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ"-ის რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

ფრიდონ ქათამაძე

შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ"-ის დირექტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
15.06.2022
№ 2401